პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 96 (19588) ◆ პარასკევი, 25 აპრილი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

წარმოების, მეცნიერების, განათლების მუშაკებო! ამრავლეთ თქვენი წვლილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, სახალხო მეურნეობის კიბრეულ რეკონსტრუქციაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

რესპუბლიკა საპირველმაისო შრომითს ვახტზე

ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს სეზონში სახელმწიფოს 6 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიპყიდონ. წელს მნიშვნელოვნად იზრდება მექანიზმებით მოკრეფილი ნედლეულის ხვედრითი წილი. მანქანებით მუშაობისათვის მომზადებულ 80 ჰექტარზე მექანიზატორები პირობას იძლევიან, რომ დაამზადებენ გეგმით გათვალისწინებული 555 ტონის ნაცვლად 650 ტონა ჩაის ნედლეულს.

ახლა ოჩხამურელები საპირველმაისო შრომითს ვახტზე დგანან.



სურათებზე: ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი, კომუნისტი ვლადიმერ კუტალაძე; მობილური ბრიგადების საშუალებით ამზადებენ სეზონისათვის პლანტაციას.

ზ. სამსონიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქვაკუთხედი — აგრომრეწვი

ია**ბ**ჭ**ო**ნ**ა** კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ნათლად და გარკვევით თქვა: „ნავარაუდევია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხუთწლედის წლების მიხედვით დაუწესდეთ პროდუქციის შესყიდვის მტკიცე გეგმები, რომლებიც არ შეიცვლება. ამავე დროს მათ შესაძლებლობა ეძლევათ ყოველივე ის, რასაც გეგმის გადაჭარბებით მოიწევენ, ხოლო კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის მიხედვით — საგეგმო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილიც გამოიყენონ თავისი შეხედულებისამებრ. მეურნეობებს შეუძლიათ იგი დამატებით მიპყიდონ სახელმწიფოს, გაყიდონ ახლად ან გადამამუშავებელი სახით საკოლმეურნეო ბაზარზე, კოოპერაციული ვაჭრობის მეშვეობით, გამოიყენონ სხვა საჭიროებებისათვის, მათ შორის პირადი დამმარე მეურნეობისათვის. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ზეგეგმითი მიყიდვა სტიმულირებული იქნება გადიდებული მოთხოვნის მატერიალური რესურსების დამატებითი გამოყოფით, წახალისების სხვა ღონისძიებებით.

რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს მომავალში დაუწესდებათ ცენტრალიზებულ ფონდებში პროდუქციის მიწოდების მტკიცე მოცულობა, ხოლო ამის გადაჭარბებით წარმოებული მთელი პროდუქცია ადგილობრივი მომარაგებისათვის დარჩებათ".

ეს საპროგრამო მოთხოვნა დაედო საფუძვლად დადგენილებას „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ", რომელიც ამ დღეებში მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს ერთობლივი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტი შემუშავებულია ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინიციატივითა და მისი უშუალო მონაწილეობით.

პარტიის XXVII ყრილობამ დასახა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა. უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ სურსათით ქვეყნის სრულ უზრუნველყოფას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ნათქვამია დადგენილებაში, რომ აგრარულ სექტორში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა მთლიანად ითვალისწინებს სამეურნეონაგარიშებრივი ურთიერთობის, ამასთან არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი, არა ნაწილობრივი, არამედ სრული სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებასა და განვითარებას, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის, უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვითანაზღაურებაზე, თვითდაფინანსებაზე გადაყვანას. სამეურნეო ანგარიში აგრომრეწვის განვითარების მთავარი გზაა. მტკიცედ უნდა შევიგნოთ, რომ, თუ ქმედითი სამეურნეო ანგარიში არ იქნა, ლაპარაკიც კი ზედმეტია რეალურად მოქმედ ეფექტიან ეკონომიკურ მექანიზმზე. სწორედ ამას ისახავენ მიზნად პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დოკუმენტებში დასახული ეკონომიკური ღონისძიებანი.

როგორც ვხედავთ, მეურნეობრიობის პირობები არსებითად იცვლება. აგრომრეწვის მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური გარდაქმნა ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს სხვაგვარად მიუდგნენ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას, ითქვა ამას წინათ გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე. თათბირზე გულახდილი საუბარი იყო მემცენარეობისა და მეცხოველეობის გაძღოლის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული განვითარების და ანაზღაურების ფორმების სრულყოფის საკითხებზე. განსაკუთრებული მსჯელობა იყო საწოგადოებრივ მეურნეობებში კოლექტიური იჯარის მეთოდის დანერგვის შესახებ. საჭიროა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების შეცვლა.

კითხვაზე, თუ რა არის ყველაზე დამახასიათებელი აგრომრეწვის სამეურნეო მექანიზმის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დოკუმენტისათვის, შეიძლება ასე ვუპასუხოთ: არა მარტო სამეურნეო უფლებების გაფართოება, ეკონომიკური დინერტულობის გაძლიერება, არამედ სურსათ-სანოვაგით ადგილობრივი მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მათთან დაკავშირებული საწარმოებისა, აგრეთვე მართვის ტერიტორიული ორგანოებისა და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გადიდება.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ახლა მკვიდრდება წესი, რომლის მიხედვითაც ცენტრალურ ფონდებში მიწოდების შემდეგ დარჩენილი მთელი პროდუქცია ადგილობრივ მომარაგებას ხმარდება. ეს წესი კარგად, ობიექტურობის უსტი საზომით უნდა გამოიყენონ აგრომრეწვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა ორგანოებმა.

სასოფლო რაიკომების, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების საქმიანობის ცენტრში უნდა იყოს საკადრო პოლიტიკა. პარტიული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავია გამოუმუშაონ ჩვენს კადრებს გერგილიანობა, შემოქმედებითი გაბედულება, კომპეტენტურობა, ღრმა ეკონომიკური აზროვნება. ეს არის ახლა თვით საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნის არსი. ამასთან პირუთვნელად უნდა ვთქვათ, რომ ეს არის მისი მთელი სირთულეც. ვერავითარი ეკონომიკური ღონისძიებები ვერ მოგვცემენ სათანადო უკუგებას, თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არ იქნება კომპეტენტური სპეციალისტებისა და ხელმძღვანელობის სტაბილური შემადგენლობა, ეს მთლიანად ეხება მასობრივი პროფესიების კადრებსაც, ნათქვამია დადგენილებაში.

ჩვენს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი გაცილებით ადრე შეიქმნა, ვიდრე სხვაგან. ამიტომ, როცა საკავშირო სახაგრომრეწვის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი, მართვის ახალი ფორმის ერთგვარი გამოცდილება ჩვენში უკვე არსებობდა. ახლა მთავარია მიღწეული უფრო გაავრცოთ, სრულყოთ სახაგრომრეწვის მართვის ფორმები და მეთოდები. ერთი სიტყვით, აგრომრეწვი ნამდვილი ქვაკუთხედი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ახლა, როცა სახაგრომრეწვის მართვის ერთიანი ორგანოები პირველ ნაბიჯს დგამენ, განსაკუთრებით დროულია შევახსენოთ მათ, რომ სრულყოფილად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებები, შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი, რომ მართვის თითოეულ დონეს ეკისრება კონკრეტული პასუხისმგებლობა. ამასთან უნდა შევახსენოთ, რომ რაიონული აგრომრეწვის, მართვის ორგანიზაციული გარდაქმნა შეიძლება არარად იქცეს, თუ მოხდება დუბლირება, სხვადასხვა დონის მართვის ორგანოების ამოცანებისა და ფუნქციების აღრევა, ითქვა საკავშირო თათბირზე. ეს არ უნდა დავუშვათ. განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ აგრომრეწვის მართვის ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის.

მთავარი ახლა ის არის, რომ მივიღოთ დიდი უკუგება ეკონომიკის აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური გარდაქმნისაგან, აგრომრეწვის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრებისაგან; არსებითად გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა, შევამციროთ მისი წარმოების ხვედრითი დანახარჯები. შარშანდელთან შედარებით წელს რესპუბლიკაში გაცილებით მეტი მეცხოველეობის პროდუქტებია მიყიდული, წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. ეს დამაიმედებელი ფაქტებია. ამოცანა ახლა ის არის, რომ არ შევანელოთ მუშაობის ტემპი.

აგრომრეწვმა, როგორც ქვაკუთხედმა, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უფრო გაბედულად და აქტიურად უნდა იკისრონ პრაქტიკული საქმეების გადაწყვეტა. გადაჭრით უნდა აღმოფხვრან ადმინისტრირება და მბრძანებლობა, ძირითადად დაეყრდნონ მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, რათა უმოკლეს ვადაში გადაწყვიტონ სურსათით ქვეყნის სრული მომარაგების ამოცანა. სახაგრომრეწვის, მისი ყოველი რგოლის, საზოგადოებრივი მეურნეობების სადღეისო საზრუნავი კი ის არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს მეთორმეტე ხუთწლედის უნდ მოსავალს, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ წლეულს მკვეთრად შემცირდეს ზარალიანი მეურნეობების რიცხვი ეს იქნება ახალი ხუთწლედის მტკიცე, გარანტირებული საფუძველი.

ვიმოქმედოთ ახლებურად

ბო**რ**ო**ტ**ა**ო**ბ**ა** გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრაზე 1986 წლის 8 აპრილს წარმოთქმული სიტყვა „უფრო სწრაფად გარდავიქმნათ, ახლებურად ვიმოქმედოთ".

ბროშურა გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1986 წლის 17 აპრილს მიიღო დადგენილება „ქვეყანაში საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარების ძირითად მიმართულებათა შესახებ".

და**დ**გ**ე**ნ**ი**ლ**ებ**ა**ზ**ე** აღნიშნულია, რომ საბინაო პრობლემის გადაჭრა პარტიის სოციალური პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ქვეყანაში მიმდინარეობს მიზანდასახული მუშაობა საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის. ბოლო 20 წლის განმავლობაში საბინაო ფონდი გაორკეცდა. ქალაქებში მოსახლეობის 80 პროცენტი ცალკე კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობს.

მაგრამ საბინაო პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას. ბევრ მოქალაქეს სჭირდება საბინაო პირობების გაუმჯობესება, მრავალი მათგანი ცხოვრობს ძველ სახლებში, საერთო საცხოვრებლებში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს დაუშვებლად მიაჩნია, როცა სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, სამეურნეო ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, შეგუებული არიან საბინაო მშენებლობის გეგმების სისტემატურ შეუსრულებლობას, სათანადო კონტროლს არ უწევენ საექსპლოატაციოდ ბინების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების დროულ და რიტმულ გადაცემას. მთელ რიგ ადგილებში უშვებენ ცხოვრებისათვის ვარგისი სახლების გაუმართლებელ დანგრევას, ცუდად იყენებენ სახლთაშენებელ საწარმოთა სიმძლავრეებს. ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი და დარღვევები ბინების განაწილებაში. სუსტად არის ორგანიზებული მუშაობა საბინაო ფონდის მოვლა-შენახვისათვის, მისი რეკონსტრუქციისა და განახლებისათვის.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საბინაო-სამინისტროებსა და უწყებებს, მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, შრომითს კოლექტივებს დაევალათ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ თითოეულ დარგში, რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ქალაქში, რაიონში, საწარმოში საბინაო პრობლემის გადაჭრის კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გადაეჭრაბონ ბინების მშენებლობის მიმდინარე ხუთწლედისათვის დასახულ მოცულობას, უფრო სრულად გამოიყენონ სახსრების უყალო წყაროები, რეზერვები და შესაძლებლობანი, რათა 2000 წლისათვის უთუოდ უზრუნველყონ ყოველი ოჯახი ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით.

ყველგან მოაწყონ საბინაო ფონდის ინვენტარიზაცია, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით განსაზღვრონ საბინაო პრობლემის გადაჭრის თანმიმდევრულობა და რიგითობა, უწონარეს ყოვლისა გაითვალისწინონ ადამიანების გადასახლება ფარფალაკა, მოუწყობელი და დროებითი ბინებიდან, მრავალშვილიანი და ახალგაზრდა ოჯახებისათვის, ომისა და შრომის ვეტერანებისათვის ბინების მიცემა. უზრუნველყონ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა პროორიტეტული გამოყოფა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის ახლად ათვისებულ რაიონებში და განსაკუთრებით ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში. ბინების დაგეგმვა და მშენებლობა აწარმოონ სოციალურ-კულტურული დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტებთან კომპლექსში. გაეუმჯობესონ შენობების არქიტექტურა და დასახლებული ადგილების კეთილმოწყობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ ბინების მშენებლობის დაგეგმვის ნორმატიული მეთოდები და 1987 წლიდან განახორციელონ ამ მეთოდების საფუძველზე დარგებისა და ტერიტორიების მიხედვით საბინაო მშენებლობის გეგმების ჩამოყალიბება. გამონახონ საბინაო პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო დამატებითი რესურსები. ამ მიზნებისათვის მეტი მოცულობით გამოიყენონ საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრები, ამასთან უპირველეს ყოვლისა უზრუნველყონ ისინი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, აგრეთვე საიჯარო სამუშაოების ლიმიტებით საცხოვრებელი სახლების აგების სამეურნეო ხერხის ყოველმხრივ განვითარების გათვალისწინებით. მხარი დაუჭირონ ბინების მშენებლობაში სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევაში შრომითი კოლექტივების ჩაბმის პრაქტიკას. გააფართოონ ახალგაზრდული საბინაო კომპლექსების მშენებლობა.

უფრო ფართოდ გამოიყენონ მოსახლეობის სახსრები ბინების მშენებლობისათვის საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის, საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური მშენებლობის მეშვეობით, განსაკუთრებით სოფლად, პატარა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ახალმოსახლეთა შეკვეთებით ბინების მოპირკეთება-კეთილმოწყობისათვის სახელმწიფო ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად. საწარმოთა წამახალისებელი ფონდების ხარჯზე დახმარება გაეწიონ მოწინავე მუშებს, ახალგაზრდობას ინდივიდუალური სახლების მშენებლობაში და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესვლის დროს. ყველგან მოაწყონ მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამშენებლო მასალისა და ნაწარმის მიყიდვა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი საბინაო მშენებლობის საწარმოო ბაზის განმტკიცებისა და უკეთ გამოყენებისათვის. სახლსამშენებელი საწარმოებისა და საშენ მასალათა მრეწველობის მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და სრული დატვირთვისათვის, აგრეთვე მათი სიმძლავრეების შემდგომი ზრდისათვის. დამთავრონ დიდბანელიანი სახლთაშენებლობის ყველა საწარმოს გადასვლა ახალი პროექტების მიხედვით პროდუქციის გამოშვებაზე, არსებითად გაფართოონ ბინების მოდერნიზაციის სამუშაოთა მოცულობა.

მნიშვნელოვნად გაზარდონ პროგრესული კონსტრუქციებისა და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება და ბინების მშენებლობაში გამოყენება. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენონ ადგილობრივი ნედლეული და მეორეული რესურსები. დაუცხრომლად იღვაწონ ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებისათვის, მშენებლობის გადების შემცირებისათვის, მისი ღირებულების, მასალატევადობის შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უზრუნველყონ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სისტემის უპირატესი განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ბინების ეფსპლოატაციისა და რემონტის ბაზის განმტკიცებას.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ სოფლად კომუნალური სამსახურების ორგანიზაციისა და განვითარების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის სახმშენს, სახსამოქალაქოშენს დაეგალათ შექმნან ახალდაქორწინებულებისა და ხანდაზმული მარტოხელა მოქალაქეებისათვის სახლებისა და ბინების პროექტები. შეიმუშაონ სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებისათვის ბინების ოპტიმალური შეფარდების საქალაქთშენებლო ნორმატივები.

მიზანშეწონილად ცნეს გააფართოონ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების უფლებები საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში, რათა მეტი ასპარეზი მისცენ ინიციატივას, საბინაო პრობლემის გადაჭრაში მშრომელთა ფართო მასების აქტიურ ჩაბმას. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უმოკლეს ვადებში დაზუსტებანი უნდა შეიტანონ მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და დებულებებში.

საკავშირო პროფსაბჭომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ სოციალური სამართლიანობის პრინციპის მკაცრი დაცვა ბინების განაწილების, ბინების მიცემაში რიგითობის დადგენის დროს, კონტროლში ჩაბაბან საზოგადოებრიობა, უზრუნველყონ ფართო საჯაროობა, გადაჭრით აღვეთონ ყოველგვარი დარღვევები და ბოროტმოქმედება ამ საქმეში. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული საექსპლოატაციოდ ვარგისი ბინების დანგრევის პრაქტიკა მწვავე აუცილებლობის გარეშე, აგრეთვე სხვა საჭიროებებისათვის საცხოვრებელი სათავსოების გადაკეთების პრაქტიკა. ამ საქმეში მკაცრად უნდა იყოს დაცული სახელმწიფო წესრიგი, მთლიანად გამოირიცხოს კუთხურობის გამოვლენებანი და პრესტიჟის მოსაზრებანი.

ცვლილებანი შეიტანონ ბინის ქირის გადახდის სტატიაში, მჭიდროდ დაუკავშირონ იგი მთელი დაკავებული ფართობის ოდენობასა და ხარისხს. გაძლიერონ კონტროლი გამოთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის გამოყენებისადმი, გაზარდონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, გაერთიანებების საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მისი დროული დასახლებისათვის. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოქალაქეებს, რომლებსაც ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი აქვთ, ნაკლები ფართობის ბინებზე თავიანთი ბინების გაცვლაში. მოაწესრიგონ ბინების გაცვლის პრაქტიკა.

რეკომენდაცია მიეცათ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს ნიადაგ ყურადღების ცენტრში იქონონ საბინაო პრობლემის — ჩვენი ქვეყნის სოციალური განვითარების უპირველესი და ერთერთი ყველაზე მომწფეწებული პრობლემის — გადაწყვეტასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. გაძლიერონ დისციპლინა და გამამტკიცონ კონტროლი საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი. პასუხი აგებინონ თანამდებობის პირებს, რომლებიც არღვევენ საექსპლოატაციოდ ობიექტების მიღების დადგენილ წესს. ყველგან იღვაწონ წლის განმავლობაში ბინების საექსპლოატაციოდ რიტმული გადაცემისათვის, გაძლიერონ ადგილობრივი საბჭოების როლი ბინების მშენებლობისათვის მთელი მუშაობის კოორდინაციაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან

ამხ**ა**ნ**ა**გ**ებ**ო**!** ამ ბრძოლა-ფიცარ, ბედნიერ, ლაღ, ოპტიმისტურ, ყველა ადამიანისა და ერისთვის ერთ-ერთ ულამაზეს, ულამაზეს, ულამაზეს ბრძოლა-ფიცარ, ბედნიერ, ლაღ, ოპტიმისტურ, ყველა ადამიანისა და ერისთვის ერთ-ერთ ულამაზეს, ულამაზეს, ულამაზეს გაზაფხულზე, ბუნებრივ, ბუნებრივ, ბუნებრივ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დროის მოთხოვნის დონეზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა ესთეტიკური აღზრდისათვის საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების მუშაობის შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოება გარკვეულ მუშაობას ეწევა რესპუბლიკის მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის, მუსიკალური, საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდისათვის. საზოგადოების მიერ მოწყობილი დათვალიერებანი, მისი ცალკეული მხატვრული კოლექტივების გამოსვლები და სხვა ღონისძიებანი ხელს უწყობს მოსახლეობას შორის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების მიღწევათა გავრცელებას, მუსიკალური ფოლკლორისა და ხალხური ქორეოგრაფიის შესწავლას, ნიჭიერ შემსრულებელთა გამოვლენას, ახალი წაწარმოებების შექმნას.

ამასთანავე რესპუბლიკის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. საზოგადოების პრეზიდიუმს აკლია მიზანსწრაფვა და უნარი — გამოჰყოს და გადაწყვიტოს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. იგი არ უთმობს ჯერ-ჯერობით ყურადღებას მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. რესპუბლიკის 29 ქალაქსა და რაიონში საზოგადოებას არა აქვს მუსიკალური, მხატვრული კოლექტივი, 41-ში ქორეოგრაფიული სტუდია; სამუსიკო სტუდიები გახსნილია მხოლოდ 8 რეგიონში. ხოლო 24 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, მაგალითად, რუსთავში, ყვარელში, მარნეულში, დმანისში, ყაზბეგში, ახმეტაში, ასპინძაში, ბოლნისში, თიანეთში, ამბროლაურში, ონში და სხვაგან ისინი საერთოდ გამორჩენილი აქვს თვალთახედვის არიდან საზოგადოების ხელმძღვანელობას და ამ სტუდიებში არავითარი მუშაობა არ წარმოებს.

არ ეთმობა ყურადღება შემსრულებელთა პროფესიული ოსტატობის ზრდას, ერთფეროვანია მხატვრული კოლექტივების რეპერტუარი, რომელშიც არ არის თანამედროვე თემატიკის დადგმები. დაბალია საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუსიკალური მომსახურების დონე.

საზოგადოების პრეზიდიუმის მხრივ არასაკმარისი მომთხოვნელობის შედეგად მთელი რიგი რეგიონული გამგეობანი აქტიურობას იჩენენ მხოლოდ ოლიმპიადების, დათვალიერებების მომზადებისა და მოწყობის პერიოდში.

არ არის საკმარისი ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება საზოგადოების მხატვრული კოლექტივებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასუფთავებისაკენ. ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანო ჯერ-როვნად არ იფასებს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების მნიშვნელობას, არ უწევს კონკრეტულ დახმარებას მის ადგილობრივ გამგეობებს.

არსებითი ნაკლოვანებანი გამოვლინდა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაშიც. არის ფაქტები, როდესაც უშვებენ უხარისხო პროდუქციას, არღვევენ საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინას, არარაციონალურად ხარჯავენ მასალა-ნედლეულს საზოგადოების საწარმოო კომბინატებში.

საზოგადოების პარტიული ორგანიზაცია ღრმად არ წვდება შემოქმედებითი და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას, არ ქმნის ურთიერთმომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებას.

პრეზიდიუმისა და სამდივნოს სხდომებზე არ განიხილავენ ადგილობრივ გამგეობათა შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობის საკითხებს, რასაც განაპირობებს, კერძოდ, არაკოლეგიურობა საზოგადოების გამგეობის მუშაობაში, ნაკლოვანებანი კადრების შერჩევასა და განაწილებაში. საზოგადოების გამგეობაში დამკვიდრდა მოჩვენებითი კეთილდღეობის, გულარხეინობისა და პარადულობის ვითარება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მკაცრად აღნიშნა, რომ მიუღებელია საზოგადოების პრეზიდიუმში დამკვიდრებული მუშაობის სტილი და მეთოდები. მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარეს ამხ. ო. გორდელს დაეკისრა პერსონალური პასუხისგებლობა მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის, მისი წარმოებისათვის იმ მოთხოვნების საფუძველზე, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ დაუსახეს შემოქმედ ინტელიგენციას. უახლოეს ხანს ზუსტად უნდა განისაზღვროს რესპუბლიკაში მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, იგი უნდა გახდეს ქმედითი საშუალება, რომლებიც აზიარებს ადამიანებს მასობრივ ხელოვნებას, ხელს შეუწყობს მათს სულიერსა და ზნეობრივ აღმავლობას, პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას, პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის გაძლიერებას.

მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებას წინადადება მიეცა გააძლიროს მომთხოვნელობა და აამაღლოს მხატვრული კოლექტივების საშემსრულებლო ოსტატობის დონე, გააუმჯობესოს რეპერტუარი. რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან და შემოქმედებით კავშირებთან ერთად მოაწყოს კონკურსები მოქალაქეობრივი ყოფიერების პოლიტიკური და მასობრივი სამღერების შესაქმნელად, საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფისადმი მიძღვნილი ახალი ცეკვებისა და ქორეოგრაფიული კომპოზიციების დასადგმელად, აწარმოოს მუსიკალური ფოლკლორის ქმედითი პროპაგანდა, გააუმჯობესოს მუშაობა შემოქმედ ახალგაზრდობასთან. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან ერთად ძირეულად გაუმჯობესოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ფალიაშვილის სახელობის ბავშვთა საგუნდო სკოლაში, გააფართოოს საგუნდო სკოლების ქსელი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების პირველადს პარტიულ ორგანიზაციას წინადადება მიეცა წარმართოს კოლექტივის მთელი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ დაუსახეს ხელოვნების მოღვაწეებს, იბრძოლოს, რათა მუსიკალური, საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების მიღწევები უფრო სრულად ემსახურებოდეს მშრომელებს.

დადგენილებით დასახულია აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საზოგადოებას აიყვანოს მუშაობა დღის მოთხოვნათა დონეზე.

(საქინფორმი).

უკომპარომისოდ იყო გამსჭვალული პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მუშაობა, რომელმაც განიხილა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. პლენუმზე გამართული გულახდილი სჯა-ბაასი შეეხო ქალაქის ცხოვრებაში. ორგანიზატორული, სამეურნეო და იდეოლოგიური საქმიანობის გარდაქმნის საჭირბოროტო პრობლემებს.

მოხსენება გააკეთა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ასლანიკაშვილმა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი.

განიხილა რა პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის დაჩქარების გზები, პლენუმმა პრინციპული და მკაცრი შეფასება მისცა გაწეულ მუშაობას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს. ისინი კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია. სკკპ XXVII ყრილობაზე ქუთაისის საავტომობილო ქარხანა მკაცრად გააკრიტიკეს ავტომანქანების მდარე ხარისხისათვის. ავტომობილშენებელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა არაერთგზის აღნიშნულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე. მკაცრი შეფასება მიეცა ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დეკლარაციულ სტილს ქალაქში არსებული ნეგატიური მოვლენების; ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებში კომუნისტურ შაბათობაზე გამომუშავებული სახსრების აუთვისებლობის, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის", პედაგოგიური ინსტიტუტის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აღინიშნა, რომ გადაუდებელი პოლიტიკური ამოცანაა შეცდომების დაძლევა საზოგადოებრივი წარმრების საგეგმო და საშემსრულებლო დისციპლინაში, სახელმწიფო დავალებათა კორექტივების დაუშვებლობა. შარშან მოხდა ასეთი კორექტივების 256 შემთხვევა, მიმდინარე წლის დამდეგიდან — პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შემცირების 20-მდე ფაქტი.

განსაკუთრებით არასასურველი მდგომარეობა შეიქმნა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში. უპასუხისმგებლობა, უკონტროლობა — ასე შეგვძლია დავახასიათოთ სიტუაცია, რომელიც უკანასკნელ წლებში შეიქმნა სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „ველოსაში".

გაუარესდა სამეურნეო საქმიანობა თბილ რიგ სხვა კოლექტივებშიც, რის შედეგად 1984-1985 წლებში ქალაქმა ვერ შეასრულა მოგების გეგმა. საგრძნობლად შემცირდა საფინანსო-საკრედიტო საქმიანობის მაჩვენებლები. მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულმა ნაშთმა გადააჭარბა 206 მილიონ მანეთს.

არსებითად უნდა გააქტიურდეს მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ სკკპ XXVII ყრილობის პრინციპულ მოთხოვნათა მიხედვით. სერიოზული ხარვეზები, ზოგჯერ კი მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვასთან დაკავშირებული საკითხების მცდარი გაგება უშუალო გავლენას ახდენს პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე. კერძოდ, თავიანთი პოზიციები დათმეს ტრიკოტაჟის ფაბრიკამ, მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოებმა, საგრძნობლად გაუარესდა მათი ნაწარმის ხარისხი.

სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სატრანსპორტო სისტემის სრულყოფა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. მუხუდადად ზოგიერთი მიღწევისა, ტრანსპორტი ჯერ კიდევ რჩება ქალაქის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ვიწრო ადგილად. უნდა გადაისინჯოს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის მდგომარეობაც. ჯერ კიდევ მწვავედ დგას მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების, საბინაო კანონმდებლობის განუხრელი შესრულების საკითხები.

გაუმჯობესებას საჭიროებს მომსახურების, განსაკუთრებით

ვიმუშაოთ

ახლებურად

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ვაჭრობისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროები. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ვაჭრობის ათობით მუშაკი მიეცემ ულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რაც ადასტურებს ამ სამსახურის ხელმძღვანელობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას, უმწეობას, უპრინციპობას. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელში ამ ბოლო დროს მომხდარმა ფაქტებმა საეჭვო გახადა საკადრო პოლიტიკა, რომელიც ქალაქში ხორციელდება. ამის შედეგად სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელები ი. კლდიაშვილი, ა. სოხაძე მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელში შექმნილი ვითარება გამოწვეულია პარტიის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებებში ფაქტების შელამაზების მანკიერი პრაქტიკით. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს, განხილა რა ეს ფაქტები, თანამდებობიდან გაათავისუფლა განყოფილების გამგე გ. ამირანაშვილი, აგრეთვე ამ განყოფილების ინსტრუქტორი შ. ბერაძე, რომელსაც სასტიკი საყვედური გამოეცხადა საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ახალი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება, გარდატეხის მიღწევა არა მარტო მატერიალურ სფეროში, არამედ ადამიანთა შეგნებაშიც დღეს შეუძლებელია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ზუსტად განსაზღვრული ფორმებისა და მეთოდების გარეშე, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე. ეს მითითება ქალაქის პარტიულ ორგანითი ბრძოლა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ცალკეულ შრომითს კოლექტივებში აშკარად შესუსტებულია ურთიერთმომთხოვნელობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა.

სწორედ ასეთ ატმოსფეროს მოჰყავს სერიოზული დარღვევები ხორცის კომბინატში, აქ შეიქმნა არაჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი და ასეთ პირობებში პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე და პრინციპულობა აღკვეთათ ცალკეულ ხელმძღვანელთა, სამეურნეო მუშაკთა თვითნებობა.

როგორც ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრაზე აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, ადამიანთა უმრავლესობას გულწრფელად მიაჩნია, რომ ახლა დადგა ცვლილებათა ხანა. მაგრამ დღეს უკვე საკმარისი არ არის სიტყვიერი განცხადებანი პარტიის გეგმების მხარდაჭერის შესახებ, საჭიროა პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცოთ მათი შესრულება, ვიშრომოთ ახლებურად. სწორედ იმაზე, თუ როგორ უნდა გარდაქმნან მუშაობა, როგორი მიმართულებანი უნდა გახდეს პრიორიტეტული, ილაპარაკეს პლენუმის მონაწილეებმა. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ ქალაქის კომუნისტები, მშრომელები, რომლებსაც ნათლად აქვთ შეგნებული დასახული გეგმების გრანდიოზულობა, გაორკეცებული ენერგიით იშრომებენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული კურსის განხორციელებისათვის.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ვ. იაშინი.

(საქინფორმი).

26-27 აპრილს ბაღ-ვენახების რესპუბლიკური დათვალიერებაა

ბაღი და ვენახი ნერგით იწყება

ნათქვამია, კარგი ბაღი და ვენახი სანერგიდანვე იწყებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ბაღი ან ვენახი საღი ნერგებით არის გაშენებული, პოტენციური უნდა მოსავალს გარანტირებული საფუძველი აქვს ჩაყრილი და პირიქით — დაავადებულ, დაკნინებულ ნერგს თუ ვრგავთ, წინდაწინ, განგებ წყალში ვყრით იმ დიდ შრომას, მებაღემ ან მევენახემ რომ უნდა გასწიოს.

რა უნდა იღონოს საზოგადოებრივმა მეურნეობამ, რომ უზრუნველყოს ბაღ-ვენახები ჭრონდეს? უწინარესად ბაღ-ვენახები საღი ნერგებით უნდა გააშენონ. რა თქმა უნდა, მარტო ნერგებიც ვერას გვიშველის, თუ მერე ახალშენს აგროტექნიკით ნავარაუდეი მოვლა-პატრონობა დავაკლით. საღი ნერგით გაშენებულ ბაღ-ვენახებს ადამიანის საღი გონებით გულითადი გარჯა, დღენიადაგ ვაზთან და ხეხილთან სიახლოვე სჭირდება. გაურჯელად ამქვეყნად არაფერი შექმნილა და არც ბაღი და ვენახი ივარგებს. ვაზი, თუნდ ხეხილი ისეთი მცენარეებია, რომლებსაც სათუთი მოპყრობა და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ეს ყველაფერი ჩვენი გაერთიანების მეურნეობების მშრომელთა, აგრეთვე სპეციალისტთა თუ ხელმძღვანელთა უმეტესობამ კარგად უწყის და ამიტომ ზამთარ-ზაფხულობით თუ გაზაფხულ-შემოდგომობით ერთნაირი გულმოდგინებით უვლიან, გამოჰყავთ საღი ნერგები, რათა მეზვრეები თუ მეხილეები არ დაადალატონ.

— მკითხველს ალბათ აინტერესებს, რა სახის ნერგები გამოჰყავს გაერთიანების მეურნეობებს. ძირითადად მაინც ვაზისა და ხეხილოვანთა სხვადასხვა ჯიშების ნერგების გამოყვანაა ჩვენთვის მთავარი. გარდა ამისა, გამოგვყავს ციტრუსოვანთა და კენკროვანთა ნერგები. აქამდე, ბუნებრივია, ტექნიკური ჯიშის ვაზის ნერგების გამოყვანას ენიჭებოდა უპირატესობა. ამიტომ იყო, რომ ჩვენ ჩამოვრჩით სუფრის ყურძნის ჯიშის ვაზის ნერგების გამოყვანის საქმეში და, ცხადია, სუფრის ყურძნის წარმოება რესპუბლიკაში სათანადო დონეზე არ იყო. გაერთიანების შესაბამისი მეურნეობები ახლა სუფრის ყურძნის ჯიშის ვაზის გამოყვანას უპირველეს ადგილს უთმობენ. ჩვენი მეურნეობები სუფრის ყურძნის ჯიშის ნერგებით ახლო მომავალში მევენახეებს მთლიანად მოამარაგებენ. სამომავლოდ ყველა ღონისძიება განვახორციელეთ. ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თბილისის, ქუთაისის და სხვა სამრეწველო ქალაქების ირგვლივ სუფრის ყურძნის ჯიშის ზვრების დიდ ფართობებზე გაშენებას. ორ-სამ წელიწადში ამ ჯიშის ვაზი ნაყოფს მოგვცემს და სუფრის ყურძნით მშრომელთა მომარაგების საქმე გაუმჯობესდება.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას ვაქცევთ საუკეთესო, საუცხოო ჯიშების ვაზის ნერგის გამოყვანას. „ქინძმარაულმა", „ხვანჭკარამ" და სხვა ღვინოებმა ჩვენს მევენახეობას და მეზვრეებს შორს გაუთქვეს სახელი. საუცხოო საექსპორტო ღვინოების დასაყენებლად, საჭირო ჯიშების ვაზის ნერგების გამოსაყვანად გაერთიანების მეურნეობათა სპეციალისტები და მშრომელები ენერგიასა და ცოდნას არ ზოგავენ. ამასთან გაერთიანებამ ყირიმიდან შემოიტანა 80.000 კაბერნეს საკვირტე მასალა. აქედან დამყნობის შედეგად 300 ათას ნერგს მივიღებთ. გარდა ამისა, შემოტანილია 40 ათასი ცალი საქიშმიში ყურძნის ჯიშის ვაზის საკვირტე მასალა, საიდანაც 100 ათას ნერგს მივიღებთ. საქიშმიშე ვენახები თბილისის ახლოს მდებარე მეურნეობათა მიწებზე გაშენდება. შამპანურის საწარმოებლად ვაზის ნერგების გამოსაყვანად დავამყენით „ჟინოს", „ალიგოტეს", „ხიხვის", „საფერავის" და სხვა ჯიშების ვაზის კვირტები. სანაცვლოდ საარქნობლად შევიმაცირეთ სხვა ტექნიკური ჯიშების ნერგებს გამოყვანის კვირტ. ხეხილის და ციტრუსოვანთა ნერგების ჯამოყვანის საქმეში ჩვენი სისტემის მეურნეობის საგრძნობი უმრავლესობა წარმატებებს აღწევს. მეხილეობის შემდგომი განვითარების მიზნით გამოგვყავს ახალ-ახალი ხეხილის ნერგები. დიდ ყურადღებას ვუთმობთ კურკოვანი ხეხილის საღი, უხვმოსავლიანი ნერგების გამოყვანას. ჩვენ ვიცით, რომ ამ ბოლო დროს მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საგრძნობლად იკლო ატმის, გარგარის, ბლის, ალუბლის, ლეღვის, ბროწეულისა და სხვა სასარგებლო ხილის წარმოებამ. ამ ხარვეზის შესავსებად გაერთიანების ბევრი სანერგე მეურნეობის სპეციალისტები მეცნიერ მუშაკთა დახმარებით ენერგიულად მუშაობენ. ახალ ხუთწლედში ამ საქმეს უფრო მეტი გულისყურით მოვეკიდებით.

მევენახეობას კვლავაც შეუნელებელი ყურადღება ექცევა. ჩვენი სისტემის მეურნეობებიც, რაღა თქმა უნდა, მთავარ ყურადღებას ვაზის ნერგების გამოყვანას აქცევენ.

მეხილეობაში ბოლო წლებში რესპუბლიკამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ამაში ჩვენს სანერგე მეურნეობებსაც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი. წლეულს ამ საქმეს ჩვენ კვლავაც დიდ ყურადღებას ვუთმობთ.

სანერგე მეურნეობათა დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ საქმე არც თუ ისე ურიგოდ მიდის. ზოგიერთი ხარვეზი ჩვენს მეურნეობებსაც აქვთ, მაგრამ მათ მალე გამოვასწორებთ. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ ჩვენს მევენახეებსა და მეხილეებს, სუბტროპიკულ მეურნეობათა მუშაკებს იმედს არ გავუცრუებთ, მივაწვდით საკმაო საღ ნერგებს.

გ. ზაუტაშვილი,
რესპუბლიკის სახაგრომრეწვის გაერთიანება „საქნერგის" თავმჯდომარე.

ხობნის რაიონის სოფელ ბიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში ახლახან შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა.

სურათებზე: ბრიგადირი მ. ბიგვავა; ბრიგადის წევრები მ. კარტოზია, ნ. გვარამია, ე. ოსავა, ნ. ჭითაშვილი და მ. ხარბედია.

ს. კილაძის ფოტო.

სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია

გაიმართა სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია, რომელშაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ გაათავისუფლა ვ. ჯ. ფილია სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მის არჩევასთან დაკავშირებით.

სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია კ. ტ. ბიგვავა, რომელიც მუშაობდა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „აფხაზეთშენის" ტრესტის მმართველის მოადგილედ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება:
ინტენსიურად
სკკპ XXVII ყრილობის
გადაწყვეტილებანი!

ეროვნული ეკონომიკა

სკკპ XXVII ყრილობის დოკუმენტებისა და მასალების შესასწავლად

II. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება პარტიის სტრატეგიული კურსია

სრულიად უეჭველია, რომ აქტუალურია **სოციალისტური საკუთრების პრობლემები,** რომლებიც ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს შეადგენენ. არ შეიძლება საკუთრებითი ურთიერთობა გვესმოდეს, როგორც რაღაც გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. ურთიერთობათა ეს რთული კომპლექსი მუდმივ მოძრაობაშია და დღეითადაგ რეგულირებას ითხოვს. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გავზარდოთ მშრომელთა დაინტერესება ხალხის დოვლათის უკეთ გამოყენებითა და გაზრდით, ჩაეფნერგოთ მათ სოციალისტური საკუთრებისადმი ბატონ-პატრონული დამოკიდებულება. ბატონ-პატრონის გრძნობა სიტყვებით, ყოველ შემთხვევაში, მარტოოდენ სიტყვებით როდი ჩაინერგება, არამედ უწინარეს ყოვლისა იმ რეალური პირობებით, რომლებშიც ჩაყენებულია ადამიანი, წარმოების ორგანიზაციაზე, შრომის ნაყოფის განაწილებასა და გამოყენებაზე მისი გავლენის შესაძლებლობით. ქვეყნის ბატონ-პატრონი ვერ გახდები, თუ ქუშარატი ბატონ-პატრონი არა ხარ შენს ქარხანაში, კოლმეურნეობაში, საამქროსა თუ ფერმაში. საკირო ყოველგვარი საშუალება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ საამქროთ დაბრკოლება შეეუქმნათ საზოგადოებრივი დოვლათიდან უშრომელი შემოსავლის მიღების ყოველგვარ ცდებს. ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველმა ჩვენგანმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი.

სოციალისტური საკუთრების ურთიერთობის რეგულირების პროცესში წყდება ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიცაა დარგებისა და რეგიონების ინტერესების მიმართ საერთო-სახალხო ინტერესების უფრო პრიორიტეტის უზრუნველყოფა. როგორც აღნიშნულია სკკპ პროგრამაში, სოციალისტური საკუთრების განვითარება საკომეურნეო-ეკონომიკურ საკუთრებას უახლოებს საერთო სახალხოს, ხოლო პერსპექტივაში იწვევს მათს შერწყმას. მაგრამ თანამედროვე პირობებში კოოპერაციულ ფორმას სრულიადაც არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობანი. უფრო მეტიც, მხარი უნდა დაეჭიროთ ახალი კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნა-განვითარებას.

სკკპ XXVII ყრილობამ ამოცანად დასახა დაეძლიოთ უარყოფითი დამოკიდებულება **სახალხოფულადი ურთიერთობის** მიმართ. ადამიანთა დაინტერესების გაზრდაზე, წარმოების ეფექტიანობაზე მისი აქტიური ზემოქმედების მნიშვნელობის უარყოფა, ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის პრაქტიკაში მისი შეუფასებლობა არასასურველ შედეგებს იწვევს. სოციალისტურ საფუძველზე სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ჯანსაღი ფუნქციონირება ხელს უწყობს მეურნეობრიობის ისეთი პირობების შექმნას, რომელთა დროს მისი შედეგები მთლიანად არის დამოკიდებული კოლექტივის მუშაობის ხარისხზე. როგორც აღნიშნულია სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა მთლიანად უნდა გამოვიყენოთ სოციალიზმის დროს მისთვის დამახასიათებელი ახალი შინაარსის შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში თეორიული პრობლემების განხილვა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია. ყოველგვარი ცდები იმისა, რომ თეორია, რომლითაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, გაყინული სქემებისა და რეცეპტების კრებულად ვაქციოთ, რომლებიც ყველგან და ცხოვრების ნებისმიერ შემთხვევაში გამოდგება, ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმის არსსა და სულისკვეთებას. იმის საჭიროების შეგნება, რომ ყოველივე მოძველებული, დრომოქმედი უნდა გარდიქმნას, აუცილებელი პირობა, საწყისი პუნქტია იმისათვის, რომ შეგქმნათ ახალი სამეურნეო მექანიზმი, სრულყოთ მთლიანად მართვის სისტემა.

სახალხო მეურნეობაში ღრმა თვისებრივი გარდაქმნები, უეჭველად, დაგვაჩქარებენს ეკონომიკის განვითარებას. მაგრამ ამას ბევრი დრო დასჭირდება, ჩვენ კი უკვე ახლა გვჭირდება ზრდის ტემპის დაჩქარება. ამიტომ პოლიტიკურ მოხსენებაში სრულიად კანონზომიერად დაისვა ამოცანა, რომ **მაქსიმალურად გამოვიყენოთ უწინარეს ყოვლისა ის რეზერვები, რომლებიც დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს, მაგრამ სწრაფ და საგრძნობ ეფექტს იძლევა.** საქმე ეხება ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ფაქტორებს, დაგროვილი პოტენციალის უკეთ გამოყენებას. შრომის სტიმულირების ქმედითობის გაზრდას, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას, უყაირათობის დაძლევას და სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას.

ჩვენში ჯერ კიდევ ყველგან და ჯეროვნად როდი იყენებენ **ძირითად ფონდებს.** სიმძლავრეთა არასრული დატვირთვის გამო ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად მილიარდობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია აკლდება. დიდი რეზერვებია **შრომითი რესურსების** გამოყენებაშიც. ეკრეთ წოდებული მუშაპლის ნაკლებობა უფრო სწორად იმით აიხსნება, რომ დაბალია შრომის ნაყოფიერების დონე, ჯეროვან სიმაღლეზე ვერ არის მისი ორგანიზაცია, ეფექტიანობა აკლია სტიმულირებას. სამუშაო ადგილების ატესტაციას, დისციპლინისა და წესრიგის დამყარებას, მშრომელთა დაინტერესებას, როგორც ადამიანებისა და წესრიგის დამყარებას, მშრომელთა დაინტერესებას, როგორც ადამიანებისა და ოჯახების, ეროვნებათა ურთიერთობათა ერთ-ერთ ფუძეს, ეროვნული ურთიერთობანი ეფუძნებიან ადამიანთა ურთიერთობებ

მსოფლიოში

ფაქტები • მოვლენები

● ინდოეთი

გამოაშკარავდა შეთქმულება

დელი. ინდოეთის უშიშროების ორგანოებმა გამოაშკარავეს შეთქმულება, რომლის ორგანიზატორები აპირებდნენ დელში პროვოკაციულად გამოეწვიათ რელიგიურ-თემობრივი უწესრიგობანი. საინფორმაციო საგენტოებისა ცნობით, შეთქმულთ განზრახული ჰქონდათ აეფეთქებინათ დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი ინდუისტური ტაძარი, სადაც ყოველდღე ათასობით ადამიანი დადის, შეიარაღებული გამოხდომები მოეწყოთ მოსახლეობის თავშეყრის სხვა ადგილებში. შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე დაპატიმრებულია. აღმოჩენილია საიდუმლო საცავები, სადაც იყო დიდძალი ასაფეთქებელი ნივთიერებანი, ხელყუმბარები და ცეცხლსასროლი იარაღი.

● ლიბია

ამზადებენ პროვოკაციას

ტრიპოლი. ლიბიის ჯამაჰირიის უმაღლესი სახალხო კომიტეტის ინფორმაციისა და კულტურის საკითხთა მდივანმა ალ-ფითურიმ უურნალისტებს განუცხადა, რომ ლიბიაში მიღებული ცნობებით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ისრაელის სადაზვერვო სამსახური მოსადი ჰპირებენ უახლოეს დროში ევროპაში მოაწყონ დასავლეთ ბერლინის დისკოთეკაში მომხდარი აფეთქების ანალოგიური მსხვილი ტეროორისტული აქცია.

როგორც ალ-ფითურიმ თქვა, ამ აქციას შემდეგ მიაწერენ ლიბიას, რაც ამ ქვეყანაზე ახალი თავდასხმის საბაბი უნდა გახდეს. ლიბია, აღნიშნა მდივანმა, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაქცევს ამგვარი პროვოკაციის საშიშ შედეგებს.

● ნიკარაგუა-აშშ

საპროტესტო ნოტა

მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობამ შეიტანებულ შტატებს მტკიცე პროტესტი განუცხადა ალმაშფოთებელი მუქარის გამო, რომელიც პრეზიდენტმა რეიგანმა თავს დაატეხა სანდინისტურ სახალხო რევოლუციას რეჟიმიულ ორგანიზაციაში „ჭერიტეჯ ფაუნდეიშნში“ გამოსვლისას.

რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, რომელიც მანაგუაში გაავრცელეს, ნათქვამია, რომ თეთრი სახლის მეთაურის გამოსვლა ვაშინგტონის ადმინისტრაციის სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის აშკარა გამოხატულებაა და იმის ცდაა, რომ ნიკაგუი მოუმზადოს ნიკარაგუის წინააღმდეგ ფართო მასშტაბის აგრესიულ აქციებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის:

მძიმე ფინანსური კრიზისი

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა საკონსულტაციო კომიტეტმა განიხილა მსოფლიო გაერთიანების გენერალური მდივნის მოხსენება იმ ფინანსური კრიზისის შესახებ, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიცდის, და მხარი დაუჭირა დასკვნას, რომ შეიქმნა განსაკუთრებით სერიოზული ვითარება.

ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებაში პერეს დე კუელიარმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის, რითაც საფრთხე ექმნება მის უნარს შეასრულოს თავისი წესდებით გათვალისწინებული მოვალეობანი, პირველ რიგში, მშვიდობისა და განვითარების მტკიცე საფუძვლების შექმნის საქმეში. კრიზისის მკვეთრი გამწვავება ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების შედეგია, რომელმაც ფაქტობრივად ფინანსური ომი გამოუცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. მსოფლიო გაერთიანების პოზიცია თითქმის ყველა საერთაშორისო საკითხში ვაშინგტონის დაუფარავ გაღიზიანებას იწვევს.

● ესპანეთი

დაინიშნა პარლამენტის ვადამდელი არჩევნები

მადრიდი. ესპანეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად ოფიციალურად დაითხოვეს გენერალური კორტესები — ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. როგორც იუწყება სამთავრობო ორგანო „ბოლეტინ ოფიციალ დელ ესტადო“, პარლამენტის ვადამდელი არჩევნები გაიმართება მომდინარე წლის 22 ივნისს.

კაბინეტმა თავისი ამ ღონისძიების მოტივად დასახელა ის, რომ პროგრამა, რომელიც ესპანეთის მმართველმა სოციალისტურმა მუშათა პარტიამ წამოაყენა 1982 წლის არჩევნებზე, „პრაქტიკულად შესრულებულია“. მაგრამ, ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ვადამდე ოთხი თვით ადრე არჩევნების მოწყობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ფ. გონსალესის მთავრობა ცდილობს გამოიყენოს სიტუაცია, რომელიც მისი აზრით, ხელსაყრელია ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიისათვის. ამავე დროს აქ აღინიშნავენ, რომ ქვეყნის მწვავე სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ სოციალისტებისადმი ამომჩჩეველთა დამოკიდებულებაზე.

● აშშ

ჩაღდება „სავაჭრო ომი“

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ახალი გაფფურებული „სავაჭრო ომი“ ჩაღდება — ამჯერად სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების სფეროში. შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის წევრების წინაშე გამოსვლისას ფინანსთა მინისტრმა ჯეიმს ბეიკერმა განაცხადა, რომ სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის დარგში ვაშინგტონისა და დასავლეთ ევროპის შეტოკქობა ახლა „ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის დასავლეთის თავისუფალი ბაზრის სისტემას“.

რამდენიმე დღის წინათ რეიგანის ადმინისტრაცია დასავლეთ ევროპას დაემუქრა, რომ დიდ დისკრიმინაციულ შეზღუდვებს დაუწესებს შეერთებულ შტატებში ღვინის, ხორცისა და რძის პროდუქტების, საკონდიტრო ნაწარმის შეტანას.

● სომალი

ქოლერის ეპიდემია

ნაირობი. მოგადიშოდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ სომალში მძვინვარებს ქოლერის ეპიდემია. მთავრობის მონაცემებით, სამ ოლქში — გედოში, ცენტრალურ ჯუბასა და ბაიდოაში — აღრიცხულია დაავადების 5000-მდე შემთხვევა. სწრაფად იზრდება ქოლერით გამოწვეული სიკვდილიანობა, რომელმაც შორსან 2200 კაცი იმსხვერპლა.

ასი წლის დღესასწაული

ყოველს მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები მეასედ იზეიმებენ პირველი მაისის დღესასწაულს. ზუსტად საუკუნის წინათ ჩიკაგოში მოეწყო გაფიცვა, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს 8 საათიანი სამუშაო დღე. პოლიციამ დახვრიტა მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია. 1889 წლის ივლისში I ინტერნაციონალის პარიზის კონგრესმა ჩიკაგოელ მუშებთან სოლიდარობის ნიშნად მიიღო რეზოლუცია, რომ 1890 წლის პირველ მაისს ყველგან გაემართათ დემონსტრაციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ვეტერანთა საბჭო ამ დღეებში აწყობს შეხვედრებს პიონერებთან.

სურათზე: პარტიის წევრი 1918 წლიდან გიორგი ციალაძე-ზანნაგია უამბობს თბილისელ პიონერებს იმის შესახებ, თუ როგორ იმართებოდა აქ, ყოფილ ხუდადოვის ტყეში, სადაც ახლა აღმართულია სტელა, თბილისელი მუშების მიტინგები და მაისობები.

ა. რუხაძისა და ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

26 - 27 აპრილი ჩერნობილის დღეა

რაც დავიწყებით არ იბინდება

ახალი შინაარსით

მდიდრდება

ტრადიციები აზრს განსაზღვრავს ამ დღეებთან დაკავშირებულ მასობრივ ღონისძიებათა საზოგადოებრივი ღირებულება. მათი გეოგრაფია მთელი რესპუბლიკაა.

26 აპრილს ყველგან პირველი თაიგულებით შეამკობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლებს. ხსოვნის დღეები, თაობათა საქმეებისა და აზრების მემკვიდრეობითობას რომ ასახავს და ადამიანურობითა და მოგონებათა სითბოთია გამსჭვალული, რესპუბლიკის მცხოვრებთ თავს მოუყრის საზოგადოებრივ მოღვაწეთა პანთეონებში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლთა მემორიალებთან, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, მწერალთა და მეცნიერთა ძეგლებთან.

თბილისში ისინი მივლენ სამსი ადგილის ობელისკთან, სადაც სპატიო ყარაულში მარადიულ ცეცხლთან დადგება სამშობლოს მომავალ დამცველთა თაობა, ფოთში — დაღუპულ მეზღვაურთა ძეგლთან, ქუთაისში მემორიალთან „დიდება შრომას“, კასპში — ხსოვნის დღეების წინ განახლებულ გიორგი საკაძის ძეგლთან... აქ გაიმართება მიტინგები და ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციები, მამაცობის ღია გაკვეთილები და საზეიმო პიონერული ხაზები, სხვა ღონისძიებები.

27 აპრილს ათასობით ადამიანი ოჯახებით, მეგობრებით, კოლეგებითურთ მოვა, რათა პატივი მიაგონ მათთვის ახლობელი ადამიანების ხსოვნას. ისინი რამდენიმე საათს გაატარებენ ქალაქებისა და სოფლების სასაფლაოებზე, ძვირფას საფლავებთან. აქ მოეწყობა ყვავილების, ნეიგვების, სასაფლაოების მოვლისათვის საჭირო სხვა მასალების ფართო ვაჭრობა. ქალაქში მდებარე სასაფლაოების სქემით ცენტრიდან დასახული მარშრუტებით ივლის სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტი.

თბილისში სასაფლაოებზე მასობრივი გასვლა დაიწყება დილის 10 საათიდან, როცა ქალაქის რადიოკსელით აჟღერდება რეკვიემი.

ამ დღეს მშრომელები ეწევიან ყველა საძმო სასაფლაოს, მეომართა საფლავებს, მწერლებისა და მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეთა საფლავებს. ყველგან გაიმართება ხსოვნის მტიტნგები, ყვავილებით შემკობის ცერემონიები, გაიმართება ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციები.

რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა იზრუნეს იმისათვის, რომ ხსოვნის დღეები გაიმართოს ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. ისინი მუშაობას წარმართავენ წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, უკვე ტრადიციულად ქცეულ რიტუალს ახალი შინაარსით გაამდიდრებენ.

(საქინფორმი).

ცოცხლობენ

ადამიანთა გულში

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იმთავითვე დაიჭირეს თადარიგი ხსოვნის დღის ორგანიზებულად მოწყობისათვის. სხვადასხვა ღონისძიებასთან ერთად საწარმო-დაწესებულებებში გაიმართება „მიტინგი-მოგონება“, გაიხსენებენ კოლექტივიდან წასულ ერთგულ მუშაკებს, მოწყობილია მათი პორტრეტების გამოფენები, შედგენილია შრომითი საქმიანობის ამსახველი ალბომები...

ხსოვნის დღე ცხინვალში, როგორც ყოველთვის, ვ. ი. ლენინის ძეგლთან დაიწყება. მოსწავლეები, ახალგაზრდობა, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, პარტიისა და შრომის ვეტერანები გვირგვინებით შეამკობენ ძეგლს. მერე კოლონები თავს მოიყრიან სანაპიროზე, დიდების ობელისკთან, სადაც შინმოუსვლელთა არდავიწყების ნიშნად ანთია მარადიული ცეცხლი. აქ, საბჭოთა კავშირის გმირთა ხეივანში, სადაც დგას დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეების, — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ი. პლიეევის, საბჭოთა კავშირის გმირების კ. კოჩიევის, ვ. ჩოჩიევის, ს. კობლოვის, გ. საბანოვის, ი. ცხოვრებოვის, ვ. ბერეზაშვილის და სხვათა ბიუსტები, გაიმართება მიტინგი. შემდეგ კი ახალგაზრდობა, მოსწავლეები და სტუდენტები ავლენ ზღუდრის სასაფლაოზე, რათა ერთხელ კიდევ გაიხსენონ საბჭოთა წყობილების გამარჯვებისათვის დაღუპული იმ ცამეტი ოსი ახალგაზრდის თავდადება, რომლებიც აქ საძმო საფლავში განისვენებენ, ყვავილებით შეამკობენ საგანგებოდ მოგლილ მათს ობელისკს. ასევე მოწიწებით მივლენ ოსი მწერლების გიფეზის, ჯოიევის, გ. ძუგაევის, გ. ბესთაფთის, ოსური მუსიკის პატრიარქის ბ. გალაევის საფლაევებთან. აქ მოგონებებით გამოვლენ მწერლები, მოსწავლეები წაიკითხავენ მათს ლექსებს. შემოქმედებითი კავშირების, თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლები, მწერლები, მხატვრები, სტუდენტები თავს მოიყრიან ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კ. ხეთაგურაოვის ძეგლთან, რომელიც ცხინვალის ცენტრშია აღმართული. გვირგვინებით შეამკობენ აგრეთვე დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის ძეგლს, რომელიც № 1 საშუალო სკოლის ეზოში დგას, მოსწავლეები წაიკითხავენ მის ლექსებს...

ჯავის, ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორის ცენტრებსა და სოფლებშიც ღირსეულად აღინიშნება ხსოვნის დღე. ყველა დიდ სოფელში მოწყობილია სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის ძეგლები, ფოტოსტენდები... უკვდავია ხსოვნა გულისა, ხსოვნა კეთილი ადამიანებისა.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ეკვიდოგის განეტკიცების ქმედითი ფაქტორი

როგორც თანამედროვე, ასევე წარსული საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გაერთიანებულ ერების ორგანიზაციას. მის უდიდეს მნიშვნელობაზე, ეფექტიანობასა და დიდ ავტორიტეტზე საერთაშორისო ავტორიტეტზე ლაფერთან ერთად ის ფაქტიც მეტყველებს, რომ უკვე ოთხოლ წელზე მეტია ორგანიზაცია მოქმედებს და სისტემატურად იზრდება მის წევრ სახელმწიფოთა რიცხვი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ იმპერიალისტურმა ბანაკმა და უწინარესად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლო თავისი დიქტატისათვის დაემორჩილებინა ორგანიზაცია და აგრესიული პოლიტიკის ბრმა იარაღად იქცია.

უკანასკნელ გარემოებას მოწმობს ვაშინგტონის აშკარად მტრული პოზიცია, რომელიც მან გამოაცხადა ბოლო ხანს გამოვლინა ორგანიზაციის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერესს იმსახურებს პროფესორ ლევან ალექსიძის ნაშრომი „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა. გარდა იმისა, რომ წიგნში გამოყენებულია ფართო მკითხველისათვის უცნობი ბევრი პირველწყარო, მისი ღირსებაა ისიც, რომ ავტორი წლების მანძილზე უშუალოდ მონაწილეობდა ორგანიზაციის მუშაობაში და ბევრი საინტერესო მოვლენისა და ფაქტის თვითმხილველი და მონაწილეა. ამასთან ნაშრომში დანართის სახით პირველად არის მოცემული ორგანიზაციის წესდება და წევრ სახელმწიფოთა სია.

ჩვენი აზრით, ავტორი სწორად მოიქცა, როდესაც საერთაშორისო გაერთიანების შექმნა ორგანულად დაუკავშირა ანტიჰიტლერულ კოალიციას, რაც გარკვეული თვალსაზრისით მას ანტიჰიტლერული კოალიციის ომისშემდგომი მიზნებისა და საქმიანობის პოლიტიკური იარაღის სახეს აძლევს. ასევე ზუსტად და ობიექტურად არის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილი თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემაში. მაშინ, როდესაც თანამედროვე მსოფლიოში 59 ათასი საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებს (აქედან 6432 სამთავრობათშორისო), მიზანშეწონილია მათი კლასიფიკაცია გარკვეულ ჯგუფებად, რასაც აკეთებს კიდევ ავტორი. კერძოდ, პოპულარული ენით და საინტერესოდ არის ახსნილი განსხვავება სამთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ავტორი წერს, რომ „კომპეტენციის მიხედვით ზოგადსაერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ისინი, რომელთა მიზანია საკითხთა ფართო სპექტრის რეგულამენტაცია, ხოლო სპეციალური კომპეტენციის მქონე ანუ სპეციალიზებული ორგანიზაციები ვიწრო, სპეციალური დანიშნულების საკითხების მოწესრიგებას ემსახურებიან“. რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, იგი უნივერსალურია, რომელსაც გაცილებით ფართო ფუნქციები აქვს — მშვიდობის დაცვა და ხალხთა თანაშრომლობის განვითარება. სრულიად მართებულია ავტორის დასკვნა, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნივერსალური და ზოგადი ტიპის სახელმწიფოთშორისო ორგანიზაციაა. იგი უნიკალურია თავისი კომპეტენციითა და სტრუქტურით, არ არის ზესახელმწიფოებრივი დწესებულება, რაიმე „მსოფლიო მთავრობის“ მსგავსი ინსტიტუტი“.

80-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც შეიარაღებული სამხედრო აგრესია ვაშინგტონის ჩვეულებრივ საგარეო-პოლიტიკურ პრაქტიკად იქცა და საერთაშორისო გაერთიანებაში სულ უფრო ხშირად განიხილავენ მეტწილად განვითარებად სახელმწიფოთა საჩივრებს შეერთებული შტატების მიმართ (ლიბანი, ნიკარაგუა და სხვა), განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს აგრესიის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები, რომლებსაც ცალკე ქვეთავი აქვთ დათმობილი. უკანასკნელი წლების კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ავტორი მკაფიო ზღვარს დებს აგრესიულ ომსა და განმათავისუფლებელ ბრძოლას შორის და სანდო რეალურად ვერ დასვამს, თავისი სოციალურ მიზნადაც კი ვერ დასახელებს ასეთ უდიდეს ამოცანას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შრომის გარდაქმნა დიდ მოთხოვნებს უყენებს ადამიანთა სწავლასა და პროფესიულ მომზადებას. დღის წესრიგი დადგა **უწყვეტი განათლების, ერთიანი სისტემის შექმნის ამოცანა.** სწორედ აქედან გამომდინარეობს პარტიის მითითება სრულყოფილ სახალხო განათლების სისტემა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანის შესაბამისად, ასეთ პირობებში თანამიმდევრულად უნდა განვახორციელოთ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა, მუყაითად ვიღვაწოთ სწავლებისა და აღზრდის ეფექტიანობის გაზრდისათვის, უზრუნველვყოთ მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერება, ძირეულად გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისათვის. როგორც აღნიშნულია სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციის დრო შემდგომ განვითარება და დაახლოვდება, პერსპექტივაში კი ერთმანეთს შეერწყმება პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

ამხანაგებმა, რომლებიც სახალხო განათლების სისტემაში მუშაობენ, უბრალოდ კრიტიკულად კი არ უნდა გაანალიზონ სასკოლო რეფორმის მიმდინარეობა, რომლის ტემპი და რეალიზაცია, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ჯერ ჯერობით ვერ გვაკმაყოფილებს, არამედ განსაზღვრონ კიდეც თავიანთი პირადი წვლილი მის შემდგომ განხორციელებაში, მოიფიქრონ საკითხები, რომლებიც შეიძლება წამოჭრან პარტიულ კრებაზე, პედაგოგიურ საბჭოზე და სხვ.

როგორც ყრილობაზე აღინიშნა, უნდა გარდაიქმნას აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, დაიხვეწოს სპეციალისტთა მომზადების სისტემა. ამ მუშაობის აზრია, თქვა ყრილობაზე თვის სტაჟაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. კ. ლიგაჩოვმა, გააძლიეროს სპეციალისტთა ზოგადმეცნიერული და პროფესიული მომზადება, შეუსაბამოს უმაღლესი განათლება ქვეყნის განვითარების მოთხოვნილებებს. ამ ამოცანის გადაწყვეტას საფუძვლად დაედება განათლების, წარმოებისა და მეცნიერების ინტეგრაცია. ამ მიზნით განზრახულია მოვამზადოთ სპეციალისტები სახალხო მეურნეობის დარგების შეკვეთით, ხელშეკრულებათა ბაზაზე ავაოთ უმაღლეს სასწავლებლებსა და მათ შორის ურთიერთობა, უფრო ფართოდ მოვიზიდოთ წამყვანი მეცნიერები და წარმოების ორგანიზატორები სპეციალისტთა მომზადებაში და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ამრიგად, უწყვეტი განათლების სფეროში წამოიჭრება სულ ცოტა ორი საკმაოდ რთული ამოცანა: უზრუნველვყოთ საშუალო და უმაღლესი სკოლის უპირატესი განვითარება თვით სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან შედარებითაც კი და გარდაგქმნათ კადრების გადამზადებისა და უწყვეტი პროფესიული ზრდის სახელმწიფო სისტემა, რაც ფრიად დიდი სოციალური პრობლემაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში და ყრილობის სხვა დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ კარდინალური ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს **ჯანმრთელობის დაცვის** გაუმჯობესებისათვის, მასობრივი ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის, ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, თავისუფალი დროს მოწესრიგებისა და ბრძოლის უზრუნველყოფისათვის. ყრილობამ აღინიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ჯანსაღ წესის დასამკვიდრებლად, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დასაძლევად მეზობლობის, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გაჩაღდა და რომელსაც აქტიურად დაუჭირა მხარი საბჭოთა ხალხმა. ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის არავითარი შესუსტება არ შეიძლება.

თანამედროვე პირობებში ძალზე მწვავე ხასიათს იძენს ბუნების დაცვის პრობლემა. პარტიას საჭიროდ მიაჩნია გაუძლიერის კონტროლი ბუნებათსარგებლობას, უფრო ფართოდ გაშალოს მუშაობა მოსახლეობის ეკოლოგიური აღზრდისათვის.

როგორც ვხედავთ, სოციალური პოლიტიკის განხილული მიმართულებანი წარმოგვიდგება, როგორც ღონისძიებათა მთლიანი სისტემა, რომლებიც მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. რასაც უნდა ეხებოდეს ეს — კეთილდღეობას, შრომას, საბინაო პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობას, ბუნების დაცვას თუ სხვა რამეს, პარტია ყველგან კომპლექსურ მიდგომას იჩენს. ეს დამახასიათებელია აგრეთვე **სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული ურთიერთობების სრულყოფისათვის.**

პარტიის სოციალური პოლიტიკისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს **კლასების, საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობის** პრობლემების ანალიზს. სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში აღნიშნულია თანამედროვე ეტაპზე სოციალური ურთიერთობის განვითარების შემდეგი კანონზომიერება: **მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის დაახლოება, საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბება ამ პროცესში მუშათა კლასის გადამწყვეტი როლის პირობებში.**

ამისათვის, თქმა გავერკვეთ ამ თეორიულ დებულებაში, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი საზოგადოების, მისი შემადგენელი კლასებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის თვისებრივი დახასიათება. იგი მოცემულია ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, პარტიული პროგრამის ახალ რედაქციაში და სხვა დოკუმენტებში, რომლებიც ყრილობამ მიიღო. მათში აღნიშნულია, რომ საბჭოთა საზოგადოებაში ავანგარდული როლი განეკუთვნება მუშათა კლასს. მაგალითად, პოლიტიკურ მოხსენებაში ნათქვამია: სოციალისტური წარმოების სისტემაში თავისი მდგომარეობის, პოლიტიკური გამოცდილების მაღალი შეგნებისა და ორგანიზებულობის, შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის მეოხებით მუშათა კლასი აკავშირებს ჩვენს საზოგადოებას, წამყვან როლს ასრულებს სოციალისტის სრულყოფაში, კომუნისტურ მშენებლობაში.

ჩვენი პარტიის მიერ თავისი აგრარული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების პროცესში თანდათან ჟახლოვდება ერთმანეთს საკუთრების ორი ფორმა, რომელთა არსებობა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებელია ორი კლასის — მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის არსებობასთან, სასოფლო-სამეურნეო შრომა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობა ხდება, კლებულობს არსებითი სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორის. გლეხობის ცხოვრების წესი და შრომის ხასიათი უახლოვდება მუშათა ცხოვრების წესისა და შრომის ხასიათს. ამ კლასებს შორის სხვაობათა დაძლევა, ჩვენს ქვეყანაში უკლასო საზოგადოების დამკვიდრება ძირითადად კომუნისტური ფორმაციის პირველი სოციალისტური ფაზის ისტორიულ ფარგლებში მოხდება.

დიდი ცვლილებები ხდება ინტელიგენციის მდგომარეობაშიც. საწარმოო ძალებში რევოლუციურ გარდაქმნებს თან სდევს მუშათა და კოლმეურნეთა უფაროფესიონალების საქმიანობაში გონებრივი შრომის ხვედრითი წილის ზრდა. ამასთანავე მატულობს ინტელიგენციის რაოდენობა, მატულობს მისი შემოქმედებითი წვლილი მატერიალურ წარმოებაში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში. ეს ხელს უწყობს ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას და ყველა სოციალური ჯგუფის დაახლოებას. ამ განსხვავებათა სრული დაძლევა, სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბება კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში დამთავრდება.

საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში **იზრდება შრომითი კოლექტივების როლი.** პარტიას საჭიროდ მიაჩნია გამიზნულად გააძლიეროს შრომითი კოლექტივების გავლენა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე, გაფართოოს მათი უფლებები და ამასთანავე გაზარდოს პასუხისმგებლობა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ყრილობის მასალებში, აქ მიღებულ დოკუმენტებში განხილულია ოჯახის განმტკიცების, ქალების, ომისა და შრომის ვეტერანების, ახალგაზრდობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პრობლემები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ყოველ მხრივ ითვალისწინებს თავის პოლიტიკაში კლასების, ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის საერთო ინტერესებს, უზრუნველყოფს საზოგადოების მტკიცე ერთიანობას, მაქსიმალურ შესაძლებლობებს უქმნის კოლექტივიზმის დამკვიდრებას და პიროვნების განვითარებას.

თავისი ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების ერთგული ჩვენი პარტია დაუცხრომლად სრულყოფს ეროვნულ ურთიერთობებს. ყრილობის დოკუმენტებში საქმიანად, ღრმად რეალისტურად არის აღძრული და გაშუქებული პრობლემები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოსთვის. საბჭოთა საზოგადოების მიერ განვლილი გზის შედეგები დამაჯერებლად ადასტურებს: **ეროვნული საკითხი, რომელიც წარსულმა დაგვიტოვა, საბჭოთა კავშირში წარმატებით გადაიჭრა.** ეს ნიშნავს, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული უთანასწორობის ყოველგვარ ფორმასა და გამოვლინებას: მილიონობით ადამიანის შეგნებაში სამუდამოდ დამკვიდრდა ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ყველა ხალხის ეროვნული კულტურისა და ეროვნული ღირსების პატივისცემა. საბჭოთა ხალხი ამჟამად გვევლინება, როგორც თვისებრივად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობა, რომელიც შედეგებებულია საერთო ეკონომიკური ინტერესებით, იდეოლოგიითა და პოლიტიკური ძიზნებით.

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს აღარ უნდა ვიზრუნოთ **ეროვნული ურთიერთობის** შემდგომი განვითარებისა და **სრულყოფისათვის.** როგორც აღნიშნულია პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, ჩვენმა მიღწევებმა ისეთი წარმოდგენა არ უნდა შეგვიქმნას, თითქოს ეროვნულ პროცესებში არავითარი პრობლემა აღარ იდგეს. წინააღმდეგობანი დამაზასიათებელია ყოველგვარი განვითარებისათვის, გარდაუვალია ისინი ეროვნულ სფეროშიც. მთავარია ვხედავდეთ ჩასახულ ასპექტებსა და წანაგებს, ვეძებდეთ და ვპოულობდეთ სწორ პასუხს კითხვებზე, რომლებსაც ცხოვრება წამოჭრის ხოლმე.

სკკპ XXVII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „ყოველნაირად განვამტკიცოთ და განვაკეთილშობილოთ ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფო. მან ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში ეროვნული რესპუბლიკების წვლილი შეესაბამებოდეს. მათს გაზრდილ ეკონომიკურ და სულიერ პოტენციალს. ყრილობაზე ითქვა, რომ შინაარსით სოციალისტური, ეროვნული ფორმებით მრავალფეროვანი და სულიერებითი ინტერნაციონალური ერთიანი კულტურის განვითარება სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო მიღწევებისა და თვითმყოფადი პროგრესული ტრადიციების ბაზაზე უნდა მიმდინარეობდეს. საბჭოური მრავალეროვნული კულტურა, რომელშიც თავს იყრის ეროვნული ფორმებისა და ელფერის მთელი სიმდიდრე, უნიკალური მოვლენა ხდება მსოფლიო კულტურაში. მთავარია, ჯანსაღი ინტერესი ყოველივე ღირებულებისადმი, რასაც კი შეიცავს თითოეული ეროვნული კულტურა, არ გადაგვარდეს ეროვნულ კულტურათა ურთიერთმოქმედებისა და დაახლოების ობიექტური პროცესიდან განდგომის ცდებად. ყრილობამ მიგვითითა, რომ საჭიროა გავაძლიერით მშრომელთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. წინდახედულობა გამოვიჩინოთ ყველაფერში, რაც შეეხება ეროვნულ პოლიტიკას, ერებისა და ეროვნებების ინტერესებს, ადამიანთა ეროვნულ გრძნობებს, და ამასთანავე პრინციპულად ვებრძოლოთ ეროვნული კარჩაკეტილობისა და ყოყოჩობის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებებს, რა სამოსშიც უნდა იყვნენ ისინი გაგვეული, — ასე ლენინურად დასვა პარტიულმა ყრილობამ ეროვნული პოლიტიკის საკითხ

მკვლევარი, მოღვაწე, მოქალაქე

პროფესორ შოთა მესხიას დაბადების 70 წლისთავის გამო

წელს სამოცდაათი წელი უნდა შესრულებოდა შოთა მესხიას. მისი გარდაცვალების დღიდან კი უკვე თოთხმეტი წელი გავიდა. ეს დრო, ერთი შეხედვით, საკმარისი უნდა იყოს საბჭოთა საისტორიო მეცნიერების წინაშე მისი მრავალმხრივი წვლილის შესაფასებლად, მისთვის ჩვენს მეცნიერებაში ადგილის მისაჩენად, მაგრამ შოთა მესხიას შემოქმედებაზე საბოლოო ხასიათოგრაფიული მსჯელობა, თვალნათელი ჩვენება მისი მოღვაწეობის ყველა მიმართულებისა, სხვა მკვლევარებზე, მისი გავლენის სიღრმის, საერთოდ, მისი ნააზრევის შეფასება ჯერჯერობით ძნელია, რადგან მეცნიერის მემკვიდრეობის მნიშვნელობა კვლავ იზრდება და სწორედ ამიტომ საბოლოო შეფასებაც მომავლის საქმეა.

დღესდღეობით თვალსაჩინოდ არის გამოკვეთილი სწავლულის დიდი ნამოღვაწარი მედიევისტიკაში, კერძოდ, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, პოლიტიკურ ისტორიას ეხება იგი თუ სოციალურ-ეკონომიკ უ რ ს, წყაროთმცოდნეობას თუ ისტორიოგრაფიას. ასამდე გამოკვეყნებული მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაგვიტოვა მეცნიერმა. და ეს მაშინ, როცა სულ 56 წელიწადს იცოცხლა...

იგი 1916 წლის 26 აპრილს დაიბადა, 1923 წელს შევიდა ზუგდიდის არასრულ საშუალო სკოლაში. შემდეგ იქვე სატყეო სასწავლებელი დაუთავრებია. 1933 წელს სწავლა განაგრძო თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1957 წელს პროფესორის წოდება მიენიჭა, 1961 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანია. ამ თანამდებობაზე, ისე როგორც კათედრის გამგის თანამდებობაზე, მეცნიერი გარდაცვალებამდე მუშაობდა. 1966 წელს ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის შ. მესხია დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, შემდეგ კი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. ამავე წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მეცნიერისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 60-იანი წლები. 1962 წელს გამოქვეყნდა შოთა მესხიას მონოგრაფია „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში", რომელიც შესწავლილია შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო თვითმმართველობის წარმოშობის დრო და პირობები. შ. მესხიას დასკვნით, თბილისს გადაქცევა ქალაქკომუნად ნიშნავდა ქვეყნის უმსხვილეს ეკონომიკურ ცენტრში ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ძალების გამარჯვებას. თვითმმართველობის დამყარება იმდროინდელ თბილისში დაწინაურებული სოციალური ცხოვრების, თავისუფალ მწარმოებელთა ფენის გაძლიერების, განვითარებული ვაჭრულ-ხელოსნური ორგანიზაციების არსებობის, ესე იგი ანტიფეოდალური სოციალუ რ ი ძალების გამტკიცების მაფუძველი იყო. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს იყო გაერთიანების გზაზე შემდგარი ფეოდალური მონარქიის შიგნით დამოუკიდებელი ერთეულის წარმოქმნა.

შ. მესხიას ავტორობით (თანაავტორები დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე) და რედაქტორობით გამოვიდა მონოგრაფიულად შესწავლილი „თბილისის ისტორია", რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო ჩვენს ისტორიოგრაფიაში, არამედ საერთოდ რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს — დიდგორის ბრძოლას შ. მესხიამ მიუძღვნა თავისი მონოგრაფია, რომელიც შემდგომ გადამუშავებული და შევსებული გამოიცა სათაურით „ძლევა საკვრველი". ამ ნაშრომისთვის მეცნიერს გარდაცვალების შემდგომ სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა.

ცალკე აღსანიშნავია შ. მესხიას გამოკვლევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემაზე, კერძოდ, შ. მესხიასა და ი. ცინცაძის წიგნი „Из истории русско-грузинских взаимоотношений (X — XVIII вв.)», რომელშიც გადმოცემულია რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობანი. გამოკვეთილია როლი, რომელსაც რუსეთი სხვადასხვა ხალხის, კერძოდ, ქართველი ხალხის ცხოვრებაში ასრულებდა. დასაბუთებულია, რომ საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან უძველესი დროიდან ხორციელდებოდა უშუალოდ და არა ბიზანტიის მეშვეობით. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით დასაბუთებულია საქართველო-რუსეთის ინტენსიური კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა. საგანგებო ადგილი ეთმობა 1783 წლის „მეგობრობის ტრაქტატს", შეფასებულია მისი ისტორიული როლი, გაშუქებულია საქართველოს შეერთება რუსეთთან და მისი დადებითი ისტორიული მნიშვნელობა.

შოთა მესხიას სახელთან არის დაკავშირებული წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევა, რომელთა შორის აღსანიშნავია ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის ეგრეთ წოდებული „ძველი ერისთავთა" მეცნიერული ტექსტის დადგენა-გამოცემა. მეცნიერმა დიდი ადგილი დაუთმო ისტორიოგრაფიის საკითხებსაც. თეიმურაზ ბაგრატიონი, ნიკო დადიანი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია — ეი ის ისტორიკოსები, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება ფრაგმენტულად თუ მთლიანად, მოეცა შოთა მესხიას ისტორიოგრაფიული კვლევის სფეროში, შ. მესხია მონაწილეობდა „საქართველოს სსრ ატლასის" შედგენაში.

სტუდენტებთან და ასპირანტებთან ინტენსიური მუშაობის გარდა, შოთა მესხია დიდ ყურადღებას უთმობდა საშუალო სკოლის მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს. 1959 წელს მისი მონაწილეობით გამოდის ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის, შემდეგ იგი ისტორიკოს ვიქტორ გუჩუასთან ერთად წერს „საქართველოს ისტორიის" ახალ სახელმძღვანელოს საშუალო სკოლისათვის (VII–X კლასებისათვის). საერთოდ მეცნიერი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხებს და უაღრესად საინტერესო, ყურადსაღები მოსაზრებებით გამოდიოდა სიჯაროდ. იგი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს ეროვნული ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ. შ. მესხია აქტიურად მონაწილეობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თავავარი სამეცნიერო რედაქციის საქმიანობაში. მისი, როგორც საქართველოს ისტორიის საბჭოს თავმჯდომარის, შეთვალყურეობით შეიქმნა სიტყვანი და მომზადდა პირველი ტომის რიგი სტატიები.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მეტად ნაყოფიერი იყო შოთა მესხიასათვის. სხვა შრომებთან ერთად მეცნიერმა ხელნაწერის სახით დატოვა მნიშვნელოვანი გამოკვლევა XII საუკუნის საქართველოს საშინაო პოლიტიკისა და სამხედეო წყობა შესახებ (მონოგრაფია მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვდა), რომელშიც ბევრი საკითხი ახლებურად არის გაგებული და შეფასებული.

როგორ შეიძლება განისაზღვროს შოთა მესხიას დამოკიდებულება საკვლევ პრობლემებთან? ამოსავალი წერტილი ბ. გუგუშვილი. — იგივე შეგვიძლია გავაკეთოთ ცალკეული ასოს ან მხოლოდ თანამედროვე ტექნიკისათვის ხელმისაწვდომი სიზუსტით იქნა „წაკითხული" შოთას უკვდავი პოემა. „ვეფხისტყაოსანი" პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლია, რომელსაც კონტენტ-ანალიზი გაუკეთდა ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის მეშვეობით.

მიუკერძოებელმა მათემატიკამ თავისებურად დაადასტურა ავტორის პოეტური ლექსიკის სიმდიდრე და გამორჩეული ნიჭი. მანქანამ გამოიანგარიშა, რომ პოემაში, რომელშიც 48400 სიტყვაა, ყოველი სიტყვა-ფორმა საშუალოდ სამზე მეტად არ არის გამოყენებული. ანდა ასეთი შედარება: შუა საუკუნეების ბიელინებში ყოველი ათი ათასი სიტყვის აქტიური ლექსიკონის მარაგი 7-8 პროცენტს უდრის, რუსთაველთან კი თითქმის ნახევარს.

ამ გონებამახვილური გამოანგარიშების ციფრები საქინფორმის კორესპონდენტმა გადმოიწერა გრაფიკებიდან, რომლებიც ელექტრონულ-გამოთვლითმა მანქანამ გამოსახა დისპლეის ეკრანზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში. ვინ და რად დაისახა მიზნად „ჰარმონიის ალგებრით შემოწმება"?

ოპერატორებს ორი კვირის განმავლობაში შეჰყავდათ მანქანის მეხსიერებაში რუსთაველის სტრიქონები. ხოლო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინფორმაციის სამეცნიერო ცენტრის სპეციალისტებმა შეიმუშავეს ტექსტობრივი საძიებო სისტემა „ვეფხი". სახმობი სიგნალით. ახლა, როცა დისპლეის კლავიატურაზე ეს სიტყვა ავკრიფე, გაოცებით შევიტყვე, რომ მისგან ნაწარმოები სიტყვები სულ რვა-ჯერ გვხვდება მთელ ტექსტში. შეგიძლიათ თვითონ დარწმუნდეთ: მანქანა ეკრანზე იძლევა სტრიქონებს, სადაც ეს სიტყვებია გამოყენებული.

— ლიტერი სიტყვის მიხედვით სისტემამ ხმარების სიხშირე გამოთვალა, — განგვიმარტავს მისი ერთ-ერთი ავტორი ბ. გუგუშვილი. — იგივე შეგვიძლია გავაკეთოთ ცალკეული ასოს ან ტვის აფორიზმული ფორმა ახასიათებს. ყველაზე ხშირად აფორიზმი სტროფის ბოლო სტრიქონებშია მოქცეული. სისტემა სულ რამდენიმე წუთში მოგაცემთ ამ სტრიქონებს ნებისმიერი თანამიმდევრობით: ტექსტის ლიდერი სიტყვის ან რითმის მიხედვით, რომელიც როგორც ცნობილია, პოემაში არც ერთხელ არ მეორდება. და ვინ იცის, იქნებ რომელიმე მკვლევარის ალღოს ასეთმა თვალსაზიერმა ინფორმაციამ ახლებურად წარმომადგენინოს პოემის პრობლემატიკა?

— ჰო, მაგრამ, ეს უნებლიეთ თვით რუსთაველის ირონიულ აფორიზმს მოგვაგონებს: „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ბგონია". ხომ არ გეჩვენებათ, რომ ისეთ სფეროში ვიმეჩვიდეთ, რომელიც არ ექვემდებარება მანქანურ ფორმალიზაციას, ვცდილობთ გენიოსის ფანტაზიის პარამეტრების პოვნას?

— სანამ რამეს მოგიგებდეთ, გთხოვთ ეკრანს შეხედოთ. თქვენ მოიყვანეთ სტრიქონი 1242-ე სტროფიდან. სხვათა შორის, სისტემა ამას იმ შემთხვევაში განსაზღვრავდა, დაცალკევებული სიტყვები რომ მოგვეყვანა სტროფის სხვადასხვა სტრიქონებიდან. ასე შეგვეძლია დიდი ჯაფის გარეშე ძველი ხელნაწერის ნაწყვეტით განვსაზღვროთ, ეკუთვნის თუ არა იგი პოემის ტექსტს.

— იქნებ, სისტემას ისიც შეუძლია, რომ პოემის ვვიანდელი ჩანართები გამოავლინოს? ბოლო აკადემიური გამოცემა ხომ ნახევარი საუკუნის წინანდელთან შედარებით 82 სტროფით ნაკლებია...

— ვერც „ჰოს" გეტყვით და ვერც „არას". მაგრამ მინდა ყურადღება მიაქციოთ შემდეგ გარემოებას: ჩვენ პოემა ოთხ თანაბარ ნაწილად დავყავით. ჰოდა, ბოლო ნაწილის მათემატიკური პორტრეტი საგრძნობლად განსხვავდება პირველი სამისაგან. კერძოდ, აქ რამდენჯერმე მატულობს მგზირების სახელების მოხსენიება, თუმცა ცნობილია, რა მარჯვედ ცვლის მთაც და ნაცვალსახელებსაც მგოსანი მხატვრული სახეებით: მზეთამზე-თინათინი, ლომთალომი-ავთანდილი და ა. შ. იქნება, ამას სიუჟეტიც გვანახვრობებს, რომელიც რუსთაველთან სწრაფად ვითარდება მთელი თხრობის განმავლობაში. ან იქნებ სხვანაირადაც აიხსნებოდეს ეს ამბავი. აქ საბოლოო სიტყვა მარტო სპეციალისტებს — ლიტერატურათმცოდნ ე ებ ს, რუსთველოლოგებს ეკუთვნით. ჩვენ ბულბულობას არ ვიჩემებთ.

— მაგრამ თეთრ ყორნად კი გამოიყურებით...

— ეს ჯერჯერობით, ერთი შეხედვით გეჩვენებათ ასე. მოგვსენებათ, გულის იღუმალ ფეთქვაზე ტომობით ლექსია დაწერილი. თერაპეტი კი მას პროზაული სტეტოსკოპით უყურადღებს, ქირურგი პაციენტის გადასარჩენად ლაზერულ სკალპელს ხმარობს. ამ შემთხვევაშიც ასეა. გაჩნდა კვლევის ახალი ინსტრუმენტი. სხვადასხვა სპეციალისტს ხელში მას ახალი რთული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლია. კონკრეტულად რა ამოცანები იქნება, ამას ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ, თუმცა მზად ვართ თანამშრომლობისათვის. უკვე დავუგზავნეთ ორი ათეული ფილოლოგ მეცნიერთა აკადემიის ინსტიტუტებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრებს.

ხოლო ზორეულ პერსპექტივას თუ ჩავუფიქრდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადაიდგა პირველი ნაბიჯი ზურთული ენის მანქანური ბანკის შესაქმნელად. იგი გრანდიოზულ შესაძლებლობებს დაგვისახავს ყოველივე იმის შესაცნობად, რაც დედაენის მშვენებასა და თავისებურებას განაპირობებს.

ი. თევზაძე.

„ვეფხისტყაოსნის" მათემატიკური პორტრეტი

ელექტრონიკა, დრო და ჩვენ

26-27 აპრილს საქართველოს სახაგრომრეწვი თბილისში აწყობს სადღესასწაულო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობას. იგი გაიმართება ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე. საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიეცემულ ინტერვიუში რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილემ, ხილბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების და გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. ყიფიანმა თქვა:

— სოფლის მშრომელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სიუხვითა და ასორტიმენტის მრავალფეროვნებით საგაზაფხულო ბაზრობა ზაფხულისას არ ჩამორჩებოდეს. თითქმის ათი რაიონი ჩამოუტანს ქალაქელებს თავის პროდუქციას. საადრეო კომბოსტოს გამოგზავნიან სამტრედიის, წულუკიძის, აბაშის რაიონები, ქალაქ წყალტუბოს ზონა, მწვანე ხახვსა და ნიორს ჩამოიტანენ ვანის რაიონის მეურნეობები, ლაგოდეხელები, ბარდაბნელები, მარნეულელები კი ქალაქს მოამარაგებენ მწვანილით, ეკალთი. გორის რაიონის მებაღეები თბილისელებს გამოუგზავნიან სულ ცოტა ორას ტონა ნარჩენ ხილს.

განსაკუთრებული ჯაფა ადგებათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახ ლილოს ბაზას და სხვა ბაზებს. მარტო ლილოს ბაზიდან დაგეგმილია შემოიტანონ დაახლოებით ოთხასი ტონა კარტოფილი, 140 ტონა ხახვი, სტაფილო, სუფრის ჭარხალი, სხვა პროდუქცია. საპირველმაისო ვაჭრობაში ჩაბმულია „საკსთბურის" გაერთიანება, საიდანაც გასაყიდად გაიგზავნება 20 ტონა კიტრი, პამიდორი.

ბაზრობა მოეწყობა ქალაქის ოთხ რაიონში — ორჯონიკიძის, საბურთალოს, ლენინის, საქარხნო რაიონებში.

აპრილი თბილისში ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო ბაზრობის დასაწყისია. იგი თანდათან ძალას მოიკრებს.

ვაჭრობა, მომსახურება

ბრაღიცია გრძელდება

26-27 აპრილს თბილისში გაიმართება სადღესასწაულო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა

სასამართლო დარბაზიდან

ნარკომანი დაისაჯა

ბარდაბნის რაიონგზის სადგურის შემდგენელი თეიმურაზ კუპატაძე არც ისე ახალგაზრდაა, ცოლშვილიანი კაცია. სამუშაოზე ცუდად არ ახასიათებდნენ, მაგრამ, თურმე, შეეძლო საზოგადოებაში თავი ისე დაეჭირა, ეჭვი არავის შეეტანა მის არანორმალურ ქცევაში. მხოლოდ გარდაბნის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს არ გამოეპარათ მისი მოჩვენებითი პატიოსნება. ერთ-ერთი რეიდის დროს თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურის მდებარე ბაზართან მის მოქმედებაში რაღაც საეჭვო შენიშნეს და თავისთან იხმეს. როცა პერონგის მარჯვენა ჯიბიდან სიგარეტის ვერცხლისფერ ქაღალდში გულმოდგინედ შეხვეული მორუხო ნივთიერება ამოიღეს, ნორი ეცვალა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა, ხელი გაასავსავა, იფიცებოდა, დამიჯერეთ, რა არის ეს, ან ვინ და როდის ჩამიდო ჯიბეში, არ ვიცი. ექსპერტიზის დასკვნით ეს აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება „ჰაშიში".

არ მიყიდია, ჯიბეში საიდან გაჩნდაო, არ იშლიდა თავისას, ხოლო, როცა მკლავზე არსებულ ნაწიბურზე მიუთითეს, მაშინ სულ მოისაწყლა თავი, — შვილი გამიხდა ცუდად, მეღუპებოდა, აბა, სისხლს როგორ დავიშურებდი, ნაწიბურიც სისხლის გადასხმის შემდეგ დამრჩა და არა ნარკოტიკული ნივთიერების გამოო, უსირცხვილოდ იმეორებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენის მიზნით, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს — ნარკომანს არ გაუვიდა ცრუ ჩვენებები.

თ. კუპატაძე შეამოწმეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნარკოლოგიური დისპანსერის მორიგე სპეციალისტებმა. დადასტურდა, რომ იგი დაავადებულია ბორტი სენით და ექვემდებარება იძულებით მკურნალობას. აღმოჩენილი ნარკოტიკული ნივთიერებაც მან სწორედ გამოყენების მიზნით შეიძინა.

ამრიგად, თ. კუპატაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება სავსებით დადასტურდა. გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ გაარჩია საბრალდებულო საქმე. სასამართლომ გამოიყენა საბჭოთა ჰუმანური კანონი, კერძოდ, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დამნაშავე ადრე სამართალში არ ყოფილა, კმაყოფაზე ჰყავს ცოლი და მცირეწლოვანი შვილი. სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით და იძულებითი მკურნალობით. ახლა მაინც უნდა ჩაუფიქრდეს თ. კუპატაძე თავის მოქმედებას და პატიოსანი შრომითა და ქცევით გამოისყიდოს დანაშაული, რომელიც საზოგადოების, ოჯახის და საკუთარი თავის წინაშე ჩაიდინა.

დ. გიწაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲛᲝᲚᲮᲝᲕᲘ

25 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — საკონცერტო დარბაზში მოსწავლეები აჩიან. 10.40 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 11.15 — გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ. 12.15 — უკრავს ა. ფრაური (გიტარა). 12.35 და 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.25 — რუსული მეტყველება. 16.55 — „ერმიტაჟი". შუა საუკუნეების გამოფენებითი ხელოვნება. 17.30—ახალი ამბები. 17.35 — სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა. 18.05 — მხატვრული ფილმი „მზად იყავით, თქვენო უმაღლესობავ" 19.15 — „თანამგზავრობა". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალი. 20.25 — მხატვრული ფილმი „თეთრი ყვავი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1986 წლის ლენინური პრემიის laureატები. 23.55 — დღეს მსოფლიოში. 0.10 — სიმღერა-86.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. მეშვიდე კლასი. 10.05 და 14.10 — ინგლისური ენა. 11.05 — მ. დუდინის პოეზია. 11.35 და 12.40 — ფიზიკა. მერვე კლასი. 12.05 — — ისტორია. ძველი რომის კულტურა და მეცნიერება. 13.10 — კუკრინიწლის შემოქმედება. 14.40 — ი. ს. ტურგენევის თეატრი. 16.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — ქ. პენზის საყმაწვილო კლუბები. 19.55 — „ცოდნა ძალაა". 20.25 — კონცერტი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — საბავშვო საქონლის ვაჭრობა ნოვგოროდში. 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „მდიდარი ლატაკი...". მეოთხე სერია. 23.50 — სპორტული ტანვარჯიში. 0.35 — ახალი ამბები.

ᲗᲕᲘᲡᲘ

25 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე (განმეორებით). 10.10 — მოსწავლეთათვის. ჩვენი პრესკონფერენციაა (განმეორებით). 10.50 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დამეხმარეთ იალბუზზე ასვლაში". 11.25 — 26-27 აპრილი — „ხსოვნის დღე" — მომღერლის გახსენება. დიმიტრი მჭედლიძე (განმეორებით). 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება რუსულ ენაზე. 17.15 — შეეცადეთ ფრანგული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.05 — მოსწავლეთათვის. 26-27 აპრილი — „ხსოვნის დღე". ამაგდარი. თამარ თვალეთაშვილი. 17.50 — ახალი წიგნები. 18.20 — „რჩეულთა სავანე" — მთაწმიდა. 18.45 — საქართველოს არქიტექტორთა მეთორმეტე ყრილობის შესახებ ფილმი. 19.30 — „ეროდენას ეკრანი". 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მთამბე. 20.35 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი. 21.15 — „90 წელი სიმღერით". ეთერ ჭელიძე. 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის დარგის 1986 წლის ლენინური პრემიის laureატები (მ.). 23.55 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „მოჯადოებული წისქვილი". 18.00 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 18.10 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

25 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ათას ერთი დამე (55-ე ამონ. მე-9 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სამიდან ექვსამდე; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — პირისპირ; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ქუთაითურთა ფანდები; თბილისის სახელმწიფო დრამატული — იეთიმ გურჯი; მინიატიურების სახელმწიფო — წურც გაფრინდები, წურც მოფრინდები;

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲐᲨᲘ

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი შეუდგა ნაშრომების მიღებას 1987 წლის პრემიების მოსაპოვებლად.

წარმოდგენის ვადაა 1986 წლის 1 ოქტომბრამდე.

ნაშრომები კომიტეტში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: 380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მეხუთე სართული, ოთახი 525. ტელეფონი: 99-93-29, 93-88-72.

აქვე შეგიძლიათ მიიღოთ ცნობები პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომების წარდგენისა და გაფორმების შესახებ.

ᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამხ. გ. ვ. ჟორჟოლიანი გაათავისუფლა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

დ. შაიშმელაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 1965 წლიდან სკკპ წევრი დავით ივანეს ძე **შაიშმელაშვილი.**

დ. ი. შაიშმელაშვილმა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა სამთო ობიექტის თანამდებობით დაიწყო „სვერდლოვგეკანახშირის" ვოროდოვსკის სახელობის №10 შახტაში. მუშაობდა შახტების საპროექტო ინსტიტუტში ინჟინრად და უფროს ინჟინრად.

1965 წლიდან იგი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების კათედრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1972 წლიდან დოცენტად მუშაობდა.

1982 წელს გადაიყვანეს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და ამავე დროს განაგრძობდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

დ. ი. შაიშმელაშვილი 27 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. უყვარდა, სადაც კი უმუშავია, იგი იჩენდა დიდ ერუდიციას, კომპეტენტურობას. იყო უაღრესად კეთილსინდისიერი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვებისადმი.

დ. ი. შაიშმელაშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЕ 07448 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ნოუმბერიანის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲖᲔ



ეს ფოტორეპორტაჟი საქართველოს არქიტექტორთა ყრილობის წინა დღეს გადაიღო ჩვენმა კორესპონდენტმა „თბილქალაქპროექტის" № 6 არქიტექტორთა სახელოსნოში, რომელსაც ვ. ქურთიშვილი ხელმძღვანელობს. ამ სახელოსნოში ამჟამად მუშავდება თბილისის მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციისა და განაშენიანების პროექტი.

* * *

სურათებზე: ვ. ქურთიშვილი (ცენტრში) და პროექტზე მომუშავე არქიტექტორები — ზ. შავაძე, ზ. ტურაბელიძე, ზ. ფილიშვილი, ც. ჩაჩანიძე და ზ. ისაკაძე; მარჯანიშვილის ქუჩის მაკეტის ერთ-ერთი დეტალი; არქიტექტორი ნ. სარალაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.